

ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს მთავრობას,

სს „სუფსა ენერჯის“

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“,

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“,

სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“

და

შპს „ენერგოტრანსს“

შორის

თარიღი: 7 ოქტომბერი, 2016 წ.

თბილისი, საქართველო

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში - „მემორანდუმი“) დადებულია შემდეგ მხარეებს შორის:

- (1) საქართველოს მთავრობა (შემდგომში - „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ილია ელოშვილის მიერ;
- (2) სს „სუფსა ენერჯი“ (შემდგომში - „კომპანია“), ს/კ: 405051624, წარმოდგენილი დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის, გიორგი ჩიტაშვილის მიერ;
- (3) სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში - „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ.
- (4) სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში - „სსე“), ს/კ: 204995176, წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის, სულხან ზუმბურიძის მიერ;
- (5) სს „გაერთიანებული ენერჯეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ (შემდგომში - „საქრუსენერგო“), ს/კ: 211324468, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, რომეო მიქაუტაძის მიერ;
- (6) შპს „ენერგოტრანსი“ (შემდგომში - „ენერგოტრანსი“), ს/კ: 204991786, წარმოდგენილი დირექტორის, კახა სეხნიაშვილის მიერ;

I - ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე მემორანდუმში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - 1.1. „აუდიტორული დასკვნა“ ნიშნავს მთავრობის შესაბამისი სამართლებრივი აქტით დამტკიცებულ ნუსხაში შემავალი აუდიტორის/აუდიტორული კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ მარწმუნებელი ხასიათის დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობას.
 - 1.2. „გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება“ ნიშნავს, ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ელექტროგადამცემი ქსელის მეშვეობით გადაცემის უზრუნველსაყოფად კომპანიას, „სსეს“, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ შორის დადებულ ხელშეკრულებას.
 - 1.3. „დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯი“ ნიშნავს ელექტროსადგურის მშენებლობისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღების მიზნით კომპანიის მიერ გაწეულ სრულ დანახარჯებს, მათ შორის სესხის

მომსახურების პროცენტს (რომელთა გაწევაც, ასევე, ამ დანახარჯების გაწევის გონივრულობა (cost reasonableness) და მიზნობრიობა დასტურდება აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), მათ შორის აუდიტორულ მომსახურებაზე გაწეულ ხარჯს, მემორანდუმის მე-8 და მე-9 მუხლის მიზნებისთვის, დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯი განისაზღვრება აშშ დოლარში.

- 1.4. „დღე/დღეები“ ნიშნავს კალენდალურ დღეს/დღეებს.
- 1.5. „ელექტროსადგური“ ნიშნავს ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ს, რომელიც განმარტებულია მემორანდუმის დანართი N1-ით.
- 1.6. „ელექტროგადამცემი ქსელი“ ნიშნავს „სსეს“, „ენერგოტრანსის“ ან/და „საქრუსენერგოს“ მფლობელობაში არსებულ ელექტროგადამცემ ხაზებსა და ქვესადგურებს (მათ შორის, საქართველოში მდებარე „ახალციხე-ბორჯხას“ ელექტროგადამცემ ხაზსა და 500/400/220 კვ. ქვესადგურ „ახალციხეს“), რომელიც საჭიროა ელექტროენერჯის თურქეთის საზღვრამდე გადაცემის მიზნით.
- 1.7. „ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება“ ნიშნავს პირდაპირ ხელშეკრულებას, რომელიც მემორანდუმის შესაბამისად იდება კომპანიასა და „ესკოს“ შორის.
- 1.8. „ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები“ ნიშნავს ელექტროსადგურის ადგილმდებარეობას, მდინარის ნიშნულებს, დადგმულ სიმძლავრესა და წლიურ გამომუშავებას, როგორც მოცემულია მემორანდუმის დანართი N1-ში.
- 1.9. „ზამთრის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.
- 1.10. „ზაფხულის თვეები“ ნიშნავს შემდეგ თვეებს: მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო.
- 1.11. „მიიღე ან გადაიხადე პრინციპი“ გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შესაბამისად ნიშნავს პრინციპს, რომლის თანახმადაც:
 - (ა) იმ შემთხვევაში, თუ „სსე“, „საქრუსენერგო“ ან/და „ენერგოტრანსი“ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, საკუთარი ბრალით კომპანიას ვერ უზრუნველყოფენ მემორანდუმის მე-10 მუხლში მითითებული მომსახურებით დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებითა და შემთხვევებში, აუნაზღაუროს კომპანიას ამის შედეგად მიუღებელი შემოსავალი, რომელიც დაანგარიშებულ უნდა იქნეს გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად და,
 - (ბ) კომპანია ვალდებულია „სსე-ს“, „საქრუსენერგოსა“ და „ენერგოტრანსს“ გადაუხადოს მემორანდუმის მე-10 მუხლში მითითებული მომსახურებისათვის განსაზღვრული თანხა, იმ შემთხვევაშიც, თუ კომპანია გამოიყენებს წინასწარ შეთანხმებულზე ნაკლები მოცულობის მომსახურებას, გარდა გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

- 1.12. „მხარეები“ ნიშნავს მთავრობას, კომპანიას, „სსეს“, „საქრუსენერგოს“, „ენერგოტრანსსა“ და „ესკოს“ ერთობლივად.
- 1.13. „ოფციური პროექტ(ებ)ი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N6-ით განსაზღვრული ელექტროსადგურების მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას;
- 1.14. „პროექტი“ ნიშნავს ელექტროსადგურის მშენებლობას, ფლობასა და ოპერირებას.
- 1.15. „საინვესტიციო ხარჯი“ ნიშნავს მემორანდუმის დადებიდან მემორანდუმის შეწყვეტამდე პროექტის განხორციელების მიზნით გაწეულ ხარჯს, მათ შორის, მშენებლობის ხარჯებს, საექსპლუატაციო ხარჯებს, აუდიტორულ მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს, მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სესხის მომსახურების პროცენტს და პროექტის ფარგლებში გაწეულ ყველა სხვა ხარჯებს, რომელიც უნდა იყოს აუდიტირებული და დადასტურებული აუდიტორული დასკვნის შესაბამისად. საინვესტიციო ხარჯი განისაზღვრება აშშ დოლარში.
- 1.16. „სამინისტრო“ ნიშნავს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს.
- 1.17. „სამშენებლო გარანტია“ ნიშნავს სამშენებლო ფაზის ფარგლებში, კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ მთავრობის სასარგებლოდ წარმოდგენილ საბანკო გარანტიას.
- 1.18. „სამშენებლო ფაზა“ ნიშნავს დროის პერიოდს ამ მემორანდუმის გაფორმებიდან ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში ფაქტობრივი მიღების ვადის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადისა.
- 1.19. „საწყისი ექსპლუატაციის პერიოდი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N4 ან N5-ით გათვალისწინებული შეთანხმებების დადების თარიღიდან 10 წლიან პერიოდს.
- 1.20. „სახელმწიფო“ ნიშნავს საქართველოს.
- 1.21. „ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შესახებ ანგარიში“ ნიშნავს 2014 წლის 30 სექტემბერს საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდს“ და კომპანიას შორის დადებულ შეთანხმების ფარგლებში, ელექტროსადგურის მშენებლობის განხორციელებადობის ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების კვლევის შესახებ კომპანიის მიერ მომზადებულ და სამინისტროსთვის წარდგენილ ანგარიშს, რომელიც ადასტურებს, რომ პროექტი განხორციელებადია ტექნიკური და ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით და სხვა დაკავშირებულ დოკუმენტაციას.
- 1.22. „ფინანსური მოდელი“ ნიშნავს მემორანდუმის დანართი N3-ით განსაზღვრულ ფინანსურ მაჩვენებლებს, რომელიც მოცემულია ელექტრონული (კომპიუტერი დისკის) ფორმით, მათ შორის, კომპანიის მიერ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობას.

II - მიზანი

2. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს პროექტის განხორციელება კომპანიის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და ამ მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

III - სამშენებლო ფაზა

3. კომპანია სამშენებლო ფაზის განმავლობაში ვალდებულია:
 - 3.1. მოიპოვოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ან/და პროექტის არეალში მოქცეულ მიწებზე შესაბამისი უფლებები;
 - 3.2. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, მოიპოვოს და მთავრობას წარუდგინოს შესაბამისი მშენებლობის ნებართვა;
 - 3.3. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაიწყოს ელექტროსადგურის მშენებლობა;
 - 3.4. ააშენოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში და უზრუნველყოს მისი ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში;
 - 3.5. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფულადი სახსრების მოზიდვა;
 - 3.6. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის, სამინისტროს, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ან/და სხვა ნებისმიერი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს სრული და თავისუფალი წვდომა ელექტროსადგურის სამშენებლო პროცესის მონიტორინგის მიზნით;
 - 3.7. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო მასალების ხარისხისა და უსაფრთხოების მონიტორინგი.
4. სამშენებლო გარანტია
 - 4.1. მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან 10 სამუშაო დღის ვადაში კომპანიამ მთავრობის სასარგებლოდ უნდა წარმოადგინოს სამშენებლო გარანტია 50 000 აშშ დოლარის ან ევროში მისი ექვივალენტის ოდენობით 1 მგვტ. დადგმულ სიმძლავრეზე. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია ძალაში რჩება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან 5 თვის განმავლობაში. კომპანიის მიერ წარმოდგენილი სამშენებლო გარანტია უნდა იყოს გაცემული სახელმწიფოს მიერ ლიცენზირებული ბანკის ან „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ („OECD“) წევრი ქვეყნის ბანკის მიერ.

- 4.2. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების დაწყების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.
- 4.3. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრული ექსპლუატაციაში მიღების ვადის დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის ჯარიმის დაკისრებას სამშენებლო გარანტიის 1.5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამავდროულად, კომპანია ვალდებულია დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოს სამინისტროს შესაბამისი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში.
- 4.4. მთავრობა უფლებამოსილია სამშენებლო გარანტიით გათვალისწინებული თანხა გამოითხოვოს სრულად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) კომპანიამ შესაბამისი მოთხოვნის შემთხვევაში არ გადაიხადა მემორანდუმის 4.2 ან/და 4.3 პუნქტების შესაბამისად დაკისრებული ჯარიმა - გადაუხდელი ჯარიმის ოდენობით;
 - ბ) მთავრობა 14.2-14.6 პუნქტების შესაბამისად წყვეტს მემორანდუმს - არსებული სამშენებლო გარანტიის სრული ოდენობით.

IV - ელექტროენერჯის რეალიზაციის ზოგადი პირობები

5. საქართველოს ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში ყოველი წლის ზამთრის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია სრულად უნდა განხორციელდეს საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე.
6. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის დასრულებამდე ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში (მემორანდუმის მე-16 მუხლის გათვალისწინებით), ასევე, საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის დასრულების შემდეგ, კომპანია უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განხორციელოს გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია საქართველოს ადგილობრივ ბაზარზე ან/და განხორციელოს ექსპორტი ნებისმიერი მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობისა და მემორანდუმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
7. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების პუნქტში ტარიფით 6 (ექვსი) აშშ ცენტი - 1 კვტ.სთ, დღგ-ს გარეშე. კომპანიამ და „ესკომ“ მემორანდუმის პირობების

შესაბამისად ხელი უნდა მოაწერონ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებას.

8. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის (დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობის ჩანაცვლება დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯით) შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-7 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობის ტოლი ან მეტი (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის უკუგების შიდა განაკვეთი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში მემორანდუმის მე-7 მუხლში მითითებული ტარიფი დარჩება უცვლელი. ასეთ შემთხვევაში კომპანიის მიერ აუდიტორული დასკვნის სამინისტროსთვის წარდგენიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში მთავრობა, „ესკო“ და კომპანია ხელს მოაწერენ ამ მემორანდუმის დანართი N4-ით მოცემულ შეთანხმებას ტარიფის უცვლელად დატოვების შესახებ, მემორანდუმის მე-7 მუხლით განსაზღვრული ტარიფის მითითებით. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, ფინანსურ მოდელში დასაშვებია მხოლოდ დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის მაჩვენებლის ცვლილება (დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობის ჩანაცვლება დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯით), სხვა ყველა დაშვება, მაჩვენებელი და მონაცემი რჩება უცვლელი, გარდა ტარიფისა, რომლის ცვლილება განპირობებული იქნება დაგეგმილი ინვესტიციის დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯით ჩანაცვლებით.
9. იმ შემთხვევაში, თუ ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის (დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობის ჩანაცვლება დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯით) შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა იქნება მემორანდუმის მე-7 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობაზე ნაკლები (იმ პირობით, რომ ფინანსურ მოდელში დაფიქსირებული პროექტის უკუგების შიდა განაკვეთი („Project Internal Rate of Return“) დარჩება უცვლელი), „ესკოსთვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ტარიფი შემცირდება და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში განისაზღვრება ფინანსურ მოდელში დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით. ყოველგვარი ორაზროვნების გამოსარიცხად, ფინანსურ მოდელში დასაშვებია მხოლოდ დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯის მაჩვენებლის ცვლილება (დაგეგმილი ინვესტიციის ჩანაცვლება დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯით), სხვა ყველა დაშვება, მაჩვენებელი და მონაცემი რჩება უცვლელი, გარდა ტარიფისა, რომლის ცვლილება განპირობებული იქნება დაგეგმილი ინვესტიციის დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯით ჩანაცვლებით. ასეთ შემთხვევაში:
 - 9.1. კომპანიის მიერ აუდიტორული დასკვნის სამინისტროსთვის წარდგენიდან 60 (სამოცი) დღის ვადაში მთავრობა, „ესკო“ და კომპანია ხელს მოაწერენ ამ

მემორანდუმის დანართი N5-ით მოცემულ შეთანხმებას ტარიფის შემცირების შესახებ, შემცირებული ტარიფის მითითებით; და

- 9.2. მხარეებს შორის დანართი N5-ით მოცემული შეთანხმების დადების შემდგომ, ელექტროენერჯის ტარიფის შემცირების შესახებ შესაბამისი ცვლილება განხორციელდება „ესკოსა“ და კომპანიას შორის გაფორმებული ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებაში.
10. ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში, ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნით, „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, უზრუნველყონ კომპანია საჭირო დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურებით. ამასთან, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის თურქეთის რესპუბლიკის საზღვრამდე გადაცემის მიზნით, „ენერგოტრანსი“ ვალდებულია, დამატებით უზრუნველყოს კომპანია გამტარუნარიანობის საჭირო მოცულობით „ახალციხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მის კუთვნილ ნაწილზე, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 10 წლის განმავლობაში ყოველი კალენდარული წლის ზაფხულის თვეებში დროის იმ მონაკვეთებისათვის, რომლის განმავლობაშიც „ახალციხე-ბორჩხას“ ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით გადასაცემი ელექტროენერჯის სიმძლავრის საერთო მოცულობა (სხვა საექსპორტო მოცულობებთან ჯამში) საკმარისი იქნება 500/400/220 კვ. ქვესადგური „ახალციხის“ ტექნიკური პარამეტრებით გათვალისწინებულ დასაშვებ ფარგლებში ფუნქციონირებისთვის. „სსე“, „საქრუსენერგო“ და „ენერგოტრანსი“ მემორანდუმის ამ მუხლით გათვალისწინებულ მომსახურებას უზრუნველყოფენ საქართველოს კანონმდებლობისა და კომპანიასთან მიიღე ან გადაიხადე პრინციპის საფუძველზე გაფორმებული გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

V - მხარეთა ვალდებულებები

11. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია ვალდებულია:
- 11.1. ააშენოს ელექტროსადგური მემორანდუმით განსაზღვრული ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში, უზრუნველყოს მისი მიერთება გადამცემ ქსელთან და ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღება მემორანდუმის დანართი N2-ით განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 11.2. შეინარჩუნოს ელექტროსადგური ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრების ფარგლებში;

- 11.3. უზრუნველყოს, რომ პროექტის განხორციელების პერიოდში, პროექტზე დასაქმებულთა სულ მცირე 80% (მენეჯმენტის და ექსპერტების გარდა) იყოს საქართველოს მოქალაქე;
- 11.4. მემორანდუმის მე-8 და მე-9 მუხლების მიზნებისათვის, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს აუდიტორული დასკვნის მომზადება და სამინისტროსთვის წარდგენა არაუგვიანეს ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
12. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია:
 - 12.1. მაქსიმალურად დაეხმაროს კომპანიას პროექტის განხორციელების პროცესში, მათ შორის, შესაბამისი დახმარება გაუწიოს საჭირო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - 12.2. უზრუნველყოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების კომპანიისათვის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გადაცემა, იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ მემორანდუმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს;
 - 12.3. ხელი მოაწეროს მემორანდუმის დანართ N4-ში ან N5-ში მოცემულ შეთანხმებას იმ პირობით, რომ კომპანია სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობისა და მემორანდუმის მოთხოვნებს.
13. პროექტის განხორციელების მიზნით, მემორანდუმის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „სსე“ ვალდებულია არაუგვიანეს 2019 წლის 31 დეკემბრისა, ელექტროსადგურის გადამცემ ქსელთან მიერთების მიზნით, უზრუნველყოს გურიის რეგიონში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ან მის მიმდებარედ შესაბამისი 110 კვ ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასრულება საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N122 ბრძანების („საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების ათწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“) შესაბამისად. „სსე-ს“ მიერ აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს „სსე-სგან“ კომპენსაცია, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, თუ ამ დროისთვის ელექტროსადგური მზად იქნებოდა ექსპლუატაციაში მისაღებად. ამასთან, „სსე“ უფლებამოსილია მოითხოვოს კომპანიისგან კომპენსაცია გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, თუ ზემოხსენებული ინფრასტრუქტურის დადგენილ ვადაში აშენების მიუხედავად, ელექტროსადგური არ იქნება მზად ამ მემორანდუმით დადგენილ ვადაში ექსპლუატაციაში მისაღებად.

VI - მემორანდუმის შეწყვეტა

14. მთავრობა უფლებამოსილია ცალმხრივად, კომპანიისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს მემორანდუმი შემდეგ შემთხვევებში, თუ:
 - 14.1. კომპანიამ არ შეასრულა მემორანდუმის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება;
 - 14.2. კომპანია არსებითად არღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს და ასეთი დარღვევა გრძელდება ჯამურად 60 (სამოცი) დღეზე დიდხანს;
 - 14.3. მემორანდუმის 4.2 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
 - 14.4. მემორანდუმის 4.3 პუნქტის შესაბამისად დაკისრებული ჯარიმის ოდენობა მიაღწევს თავდაპირველად წარმოდგენილი სამშენებლო გარანტიის ოდენობის 50%-ს ან მეტს;
 - 14.5. კომპანიამ უარი თქვა პროექტის განხორციელებაზე;
 - 14.6. კომპანიის მიერ მოწოდებული ან/და მთავრობის მიერ მოპოვებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის საფუძველზე, ცნობილი გახდა, რომ მემორანდუმით აღებული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელი ქმედებები კომპანიის მიერ არ განხორციელებულა და აღნიშნული გრძელდება 60 (სამოცი) დღეზე მეტი ვადით;
 - 14.7. ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 240 (ორას ორმოცი) დღეზე მეტი ვადით.
15. მთავრობის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 15.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 15.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ, სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;
 - 15.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;
 - 15.4. წინამდებარე მემორანდუმის 14.7 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისთვის

წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 15.2-15.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.

16. იმ შემთხვევაში თუ კომპანიამ მემორანდუმის 11.4 პუნქტით დადგენილ ვადაში არ წარმოადგინა აუდიტორული დასკვნა ან მემორანდუმის მე-8 ან მე-9 მუხლებით დადგენილ ვადაში კომპანიის ბრალით ან/და კომპანიის მიერ ხელი არ მოეწერა, დანართი N4 ან N5-ით გათვალისწინებულ შეთანხმებას:
 - 16.1. მთავრობა კომპანიას ამ უკანასკნელის მიერ მოთხოვნიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში დაუბრუნებს სამშენებლო გარანტიას (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით);
 - 16.2. კომპანიას შეუნარჩუნდება ელექტროსადგურის ფლობისა და ოპერირების უფლება;
 - 16.3. მემორანდუმის მე-7 და მე-10 მუხლები, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტს მოქმედებას.
17. კომპანია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მემორანდუმი, მთავრობისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, იმ შემთხვევებში თუ:
 - 17.1. მთავრობა არსებითად დაარღვევს მემორანდუმით ნაკისრ ვალდებულებებს. ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს მთავრობისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნა მემორანდუმის შეწყვეტამდე 90 (ოთხმოცდაათი) დღით ადრე;
 - 17.2. ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 240 (ორას ორმოცი) დღეზე მეტი ვადით.
 - 17.3. 2017 წლის 1 სექტემბრამდე არ დაიდო ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება და გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა თუ ეს მოხდა კომპანიის ბრალეული ქმედების შედეგად;
 - 17.4. თუ შესაბამისი ორგანიზაციის მიერ არ იქნა გაცემული პროექტის განსახორციელებლად საჭირო რაიმე ნებართვა, ლიცენზია ან/და თანხმობა, იმ პირობით, რომ კომპანია შეასრულებს ასეთი ნებართვის, ლიცენზიის ან/და თანხმობის გაცემისთვის კანონმდებლობით ან/და მემორანდუმით დადგენილ მოთხოვნებს.
18. კომპანიის მიერ მემორანდუმის შეწყვეტა გამოიწვევს შემდეგს:
 - 18.1. კომპანიას მემორანდუმის შეწყვეტისთანავე ჩამოერთმევა პროექტის განხორციელების უფლება;
 - 18.2. კომპანიის ხელთ არსებულ ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევისა და შესაბამის გარემოზე ზემოქმედების შესახებ ანგარიშებზე, ისევე, როგორც პროექტთან დაკავშირებულ, მათ შორის, კომპანიის მიერ შემუშავებულ,

სხვა ნებისმიერ დოკუმენტსა და ნახაზზე ექსკლუზიური საკუთრების უფლება უსასყიდლოდ გადაეცემა მთავრობას, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში;

- 18.3. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემა შესაბამისი უფლებები (მათ შორის, საკუთრების უფლება) პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ან/და მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც გადაცემის მომენტისთვის უნდა იყოს უფლებრივად უნაკლო, მემორანდუმის შეწყვეტიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში;
 - 18.4. წინამდებარე მემორანდუმის 17.1 პუნქტის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანია უფლებამოსილია მოითხოვოს და მიიღოს საინვესტიციო ხარჯი კომპანიის მიერ მემორანდუმის 18.2-18.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ;
 - 18.5. წინამდებარე მემორანდუმის მე-17 მუხლის შესაბამისად შეწყვეტის შემთხვევაში, მთავრობამ კომპანიას უნდა დაუბრუნოს კომპანიის მიერ მთავრობისთვის წარდგენილი სამშენებლო გარანტია (გარანტიის დაბრუნების მომენტისათვის არსებული ოდენობით) კომპანიის მიერ მემორანდუმის 18.2-18.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ.
 - 18.6. მემორანდუმის 18.4 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ხარჯის ანაზღაურება საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელდება კომპანიის მიერ საინვესტიციო ხარჯის ოდენობის დამადასტურებელი აუდიტორული დასკვნის წარმოდგენიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში;
19. მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.
 20. ამ მემორანდუმის მე-14, მე-17 და მე-19 მუხლების შესაბამისად შეწყვეტა იწვევს მემორანდუმის ყველა მხარისათვის მის შეწყვეტასა და შესაბამისად - ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებისა და გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ხელშეკრულების შეწყვეტას.

VII - მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავის გადაწყვეტა

21. მემორანდუმი დადებულია, რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
22. ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე მემორანდუმიდან გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

VIII - ფორს-მაჟორი

23. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მხარეთა გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო

მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის: ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტი, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მეწყერი, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა სტიქიური უბედურება ან მსგავსი მოვლენა.

24. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებულ ნებისმიერ მხარეს საკუთარი ვალდებულების ან/და უფლებამოსილების შესრულებაში, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და სხვა მხარეს არ ექნება უფლება შეწყვიტოს მემორანდუმი ამ საფუძველით, თუ ამ მემორანდუმით ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
25. მხარე, რომლისთვისაც მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელი ხდება ფორს-მაჟორული გარემოების გამო, ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ სხვა მხარეებს.

IX - ოფციური პროექტები

26. 2020 წლის 31 დეკემბრამდე (გარდა მემორანდუმის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა) კომპანია უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მიიღოს გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართი N6-ით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის (ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა ჰიდროელექტროსადგურის) მშენებლობის ფლობისა და ოპერირების თაობაზე. ამასთან კომპანიის გადაწყვეტილება წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობით, მემორანდუმის დანართი N7-ით განსაზღვრული ფორმით.
27. კომპანიის მიერ მემორანდუმის დანართი N7-ის შესაბამისად წარმოდგენილი წინადადების შემთხვევაში, მხარეები 4 (ოთხი) თვის ვადაში განიხილავენ შესაბამისი ოფციური პროექტის განხორციელების მიზნით დასაადები ხელშეკრულების პირობებს და ურთიერთშეთანხმების შემთხვევაში, მხარეთა შორის იდება ხელშეკრულებ(ებ)ი შესაბამისი ჰიდროელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ფლობის და ოპერირების თაობაზე.
28. მიუხედავად წინამდებარე მემორანდუმის 26-ე მუხლით კომპანიაზე მინიჭებული უფლებამოსილებისა, მთავრობა, საკუთარი შეხედულებისამებრ, უფლებამოსილია მემორანდუმის დანართი N6-ით განსაზღვრული ოფციური პროექტ(ებ)ით (ერთ-ერთი, რამდენიმე ან ყველა ჰიდროელექტროსადგურის) მესამე პირების დაინტერესების შემთხვევაში, ასევე განიხილოს მათი წინადადებები ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ფლობის და ოპერირების თაობაზე და საბოლოო გადაწყვეტილებები მიიღოს კომპანიისა და მესამე პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე კონკურენციის, კეთილსინდისიერების და სამართლიანობის პრინციპების გათვალისწინებით. ამ მიზნით, მესამე პირ(ებ)ის მიერ წინადადების წარდგენის

შემთხვევაში მთავრობა კომპანიას განუსაზღვრავს 60 (სამოცი) დღეს მემორანდუმის დანართი N7-ის შესაბამისად, შესაბამისი ოფციური პროექტ(ებ)ის განხორციელებაზე წინადადების წარმოსადგენად. იმ შემთხვევაში თუ მთავრობის გადაწყვეტილებით ამ თავით გათვალისწინებული ოფციური პროექტ(ებ)ის განხორციელების თაობაზე დაიდება მესამე პირ(ებ)თან, კომპანია კარგავს შესაბამის ოფციურ პროექტ(ებ)ზე ხელშეკრულების 24-ე მუხლით გათვალისწინებულ ყოველგვარ უფლებას.

29. კომპანია კარგავს შესაბამის ოფციურ პროექტ(ებ)ზე ყოველგვარ უფლებას შემდეგ შემთხვევებში:

- ა) თუ 2020 წლის 31 დეკემბრამდე კომპანიამ არ წარმოადგინა მემორანდუმის 26-ე მუხლით გათვალისწინებული წინადადება; ან
- ბ) თუ კომპანიამ უარი განაცხადა მემორანდუმის 26-ე მუხლით გათვალისწინებული წინადადების წარმოდგენაზე; ან
- გ) თუ კომპანიამ წარმოადგინა მემორანდუმის 27-ე მუხლით გათვალისწინებული წინადადება, მაგრამ ამავე მუხლით განსაზღვრულ ვადაში მხარეთა შორის არ დაიდო ხელშეკრულებ(ებ)ი ოფციური პროექტ(ებ)ის განხორციელების თაობაზე.

X – დამატებითი დებულებები

30. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე.

31. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე ექვს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

ხელმოწერები

საქართველოს მთავრობა


ილია ელოშვილი

სს „სუფსა ენერჯი“

გიორგი ჩიტაშვილი

სს „ელექტროენერჯი სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ აბოკაძე



სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“


სულხან ზუმბურდიძე

სს „გაერთიანებული ენერჯის სისტემა ზაქრუსენერგო“

რობერტ მიქაელაძე

სს „ენერჯი ტრანსკო“

კახა სენიჭავიძე



ელექტროსადგურის ტექნიკური პარამეტრები

დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		საპროექტო წლიური გამომუშავება წყლის მოდინების 50%-იანი უზრუნველყოფის პირობებში	დადგმული სიმძლავრე
ბარამიძისწყალი (ბარამიძე ჰესი)	საქართველო, ჩოხატაურის რაიონი, მდინარე ბარამიძისწყალი	709-749 მეტრი შუალედში სათავე ნაგებობა	454-494 მეტრი შუალედში ტურბინის ღერძის ნიშნული	41,87 მლნ. კვტ. სთ	8,4 მგვტ

დანართი N2

სამშენებლო ფაზის გრაფიკი

ელექტროსადგურის დასახელება: ბარამიძისწყალი (ბარამიძე ჰესი)	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან
მშენებლობის ნებართვის საფუძველზე მშენებლობის დაწყება	12 თვე
ექსპლუატაციაში მიღება	2020 წლის 31 იანვარი

დანართი N3

ფინანსური მოდელი

დანართი N4

შეთანხმება ტარიფის უცვლელად დატოვების თაობაზე

ქ. თბილისი

____/____/____

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის ილია ელოშვილის მიერ,

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში: „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

და

შპს/სს [●] (შემდგომ: „კომპანია“), ს/კ: [●], წარმოდგენილი მისი დირექტორის [სახელი, გვარი] მიერ,

ვინაიდან, მემორანდუმის 11.4. პუნქტის შესაბამისად, კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა მემორანდუმით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ვინაიდან, მემორანდუმის მე-8 მუხლის შესაბამისად, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა არის მემორანდუმის მე-7 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობის [ტოლი/მეტი];

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში მემორანდუმის მე-7 მუხლში მითითებული ტარიფი არ ექვემდებარება ცვლილებას;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე შეთანხმების მხარეები ვთანხმდებით, რომ მემორანდუმის მე-7 მუხლი დარჩეს უცვლელი.

საქართველოს მთავრობა

ილია ელოშვილი

შპს/სს [●]

[სახელი, გვარი]

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამბოკაძე

დანართი N5

შეთანხმება ტარიფის შემცირების თაობაზე

ქ. თბილისი

___/___/___

საქართველოს მთავრობა (შემდგომში: „მთავრობა“) წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის, ილია ელოშვილის მიერ,

სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში: „ესკო“), ს/კ: 205170036, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, ვახტანგ ამბოკაძის მიერ;

და

შპს/სს [●] (შემდგომში: „კომპანია“), ს/კ: [●], წარმოდგენილი მისი დირექტორის, [სახელი, გვარი] მიერ,

ვინაიდან, მემორანდუმის 11.4. პუნქტის შესაბამისად კომპანიამ სამინისტროს წარუდგინა აუდიტორული დასკვნა მემორანდუმით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ვინაიდან, მემორანდუმის მე-9 მუხლის შესაბამისად, ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ, აუდიტორული დასკვნის თანახმად დადგენილი დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ოდენობის სამინისტროს მიერ ფინანსურ მოდელში ასახვის შედეგად მიღებული ტარიფის ოდენობა არის მემორანდუმის მე-7 მუხლში მითითებული ტარიფის ოდენობაზე ნაკლები;

ვინაიდან, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში „ესკოსთვის“ მისაყიდი ელექტროენერჯის ტარიფი ექვემდებარება შემცირებას და საწყისი ექსპლუატაციის პერიოდში ტარიფი განისაზღვრება ფინანსურ მოდელში დადასტურებული საინვესტიციო ხარჯის ასახვის შედეგად მიღებული ოდენობით;

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე შეთანხმების მხარეები ვთანხმდებით, რომ მემორანდუმის მე-7 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. საწყისი ექსპლუატაციის პერიოდის ყოველი წლის ზამთრის თვეებში, ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაცია უნდა განახორციელდეს ექსკლუზიურად „ესკოზე“ ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად, მიღების პუნქტში ტარიფით [ოდენობა (ოდენობა სიტყვიერად)] აშშ ცენტი - 1 კვტ.სთ.“

საქართველოს მთავრობა

ილია ელოშვილი

შპს/სს [●]

[სახელი, გვარი]

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

ვახტანგ ამზოკაძე

ოფციური პროექტები


დასახელება	ადგილმდებარეობა	მდინარის ნიშნულები მეტრი ზღვის დონიდან		საპროექტო წლიური გამომუშავება წყლის მოდინების 50%-იანი უზრუნველყოფის პირობებში	დადგმული სიმძლავრე
სურები ჰესი	საქართველო, ჩოხატაურის რაიონი, მდინარე სუფსა	451-491 მეტრი შუალედში სათავე ნაგებობა	362-402 მეტრი შუალედში ტურბინის ღერძის ნიშნული	39.76 მლნ. კვტ. სთ	7.54 მგვტ
ვანი ჰესი	საქართველო, ჩოხატაურის რაიონი, მდინარე სუფსა	358-398 მეტრი შუალედში სათავე ნაგებობა	362-402 მეტრი შუალედში ტურბინის ღერძის ნიშნული	57.22 მლნ. კვტ. სთ	11.6 მგვტ
ბუკისციხე ჰესი	საქართველო, ჩოხატაურის რაიონი, მდინარე სუფსა	255-295 მეტრი შუალედში სათავე ნაგებობა	182-222 მეტრი შუალედში ტურბინის ღერძის ნიშნული	47.04 მლნ. კვტ. სთ	10 მგვტ
სუფსა (სუფსა მცირე ჰესი)	საქართველო, ჩოხატაურის რაიონი, მდინარე სუფსა	496-536 მეტრი შუალედში სათავე ნაგებობა	454-494 მეტრი შუალედში ტურბინის ღერძის ნიშნული	10.50 მლნ. კვტ. სთ	1.8 მგვტ

წინადადება „საქართველოს მთავრობას, სს/შპს [კომპანიის დასახელება], სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის [თვე, რიცხვი] დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმის დანართით N6 განსაზღვრული ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის თაობაზე“

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მთავრობას, სს/შპს [კომპანიის დასახელება], სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის 2016 წლის [●] დაიდო ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის თანახმადაც მოგვენიჭა უფლება 2020 წლის 31 დეკემბრამდე მიგველო გადაწყვეტილება მემორანდუმის დანართით N6 განსაზღვრული ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ კომპანიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზემოხსენებულ დანართში მოცემული [ელექტროსადგურის დასახელება] მშენებლობის თაობაზე. შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით აღნიშნული ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე შემდეგი პირობებით:

- ასაშენებელი ელექტროსადგურის დასახელება - [●]
- ასაშენებელი ელექტროსადგურის ადგილმდებარეობა - [●]
- ასაშენებელი ელექტროსადგურის მდინარის ნიშნულები - [●]
- ასაშენებელი ელექტროსადგურის სიმძლავრე - [●]
- ასაშენებელი ელექტროსადგურის წლიური გამომუშავება - [●]
- ელექტროსადგურის მშენებლობის მიზნით შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადა - წინამდებარე წინადადების წარმოდგენიდან [●] თვე;
- მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურის მშენებლობის დაწყების ვადა - [●] თვე მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან;
- ელექტროსადგურის ექსპლუატაციაში მიღების ვადა - მშენებლობის დაწყებიდან [●] თვე;
- კომპანიის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის რეალიზაციის ტარიფი - [●] აშშ ცენტი/1 კვტ სთ.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ წინადადებას თან ერთვის ამავე ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის მიზნებისთვის კომპანიის მიერ შედგენილი ფინანსური მოდელი.



საქართველოს მთავრობის განკარგულება



№2077 2016 წლის 4 ოქტომბერი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის თაობაზე

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის შესაბამისად, ურთიერთგაგების მემორანდუმს, საქართველოს მთავრობის სახელით, ხელი მოაწეროს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ილია ელოშვილმა.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი



ენერგოტრანსი

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2/ 2 Baratashvili str. Tbilisi 0105, Georgia ტელ./ფაქსი/tel./fax: +995(32)2510140

26/09/2016

N 558

558-01-2-201609261657



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს

თქვენი 2016 წლის 26 სექტემბრის #04/3884 წერილის პასუხად მოგახსენებთ, რომ შპს „ენერგოტრანსმა“ განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოს“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადებ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გვაქვს.

პატივისცემით,
კახა სეხნიაშვილი

დირექტორი



ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორი
Electricity Market Operator

საქართველო, თბილისი, 0114, ბარათაშვილის ქ. 2
ტელეფონი: 2401420; ფაქსი: 2601915

2 Baratashvili Str., 0114 Tbilisi, Georgia
Phone: +995 32 2401420; Fax: +995 32 2601915

N 01/1118
27/09/2016

1118-01-2-201609271723



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
მოადგილეს ბატონ ირაკლი ხმალაძეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს 2016 წლის 26 სექტემბრის #04/3884 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ბაზრის ოპერატორმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილა საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „საქრუსენერგოსა“ და შპს „ენერგოტრანსს“ შორის დასადები ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც შენიშვნები არ გავგაჩნია.

პატივისცემით,

ვახტანგ ამბოკაძე

გენერალური დირექტორი

OFFICE@ESCO.GE • WWW.ESCO.GE

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
რეგისტრირებულია ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 07.08.2006; სასაფ. კოდი 205170036

ELECTRICITY SYSTEM COMMERCIAL OPERATOR JSC
Registered by Tbilisi Tax Inspectorate on 07.08.2006; ID CODE 205170036



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ. ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasali str., 0114, Tbilisi, Tel.: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№6381

27 / სექტემბერი / 2016 წ.

საქართველოს ენერგეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალამეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2016 წლის 26 სექტემბრის № 04/3883 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებით შემდეგს:

1. მემორანდუმის პროექტის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სარეალიზაციო ელექტროენერჯის ოდენობა საჭიროებს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2014 წლის 10 აპრილის № 40 ბრძანებასთან („იმ ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ წინადადებების საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსათვის წარდგენისა და განხილვის წესის და პირობების დამტკიცების თაობაზე, რომლებიც არ არის შეტანილი საქართველოში ასაშენებელი პოტენციური ელექტროსადგურების ნუსხაში“) შესაბამისობაში მოყვანას.

2. იმის გათვალისწინებით, რომ მემორანდუმის პროექტი არეგულირებს ელექტროსადგურის მშენებლობის ფაზას, 16.4 მუხლის შესაბამისად, კანონმდებლობის მიხედვით გაუცემელი ნებართვების/ლიცენზიების საფუძველზე კომპანიისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის უფლების მინიჭება უნდა გადაწყდეს მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

3. მემორანდუმის პროექტის მე-6 მუხლში გაერთიანებულია წარმოდგენილი სამართალურთიერთობის ფარგლებში რეგულირებული ორი სხვადასხვა საკითხი, კერძოდ, კომპანიის მიერ ელექტროენერჯის რეალიზაციის მეთოდი და ზამთრის თვეებში სარეალიზაციო ელექტროენერჯის ტარიფი. შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტის მე-6 მუხლი საჭიროებს ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მუხლად ჩამოყალიბებას, ხოლო მემორანდუმის პროექტის შემდგომი მუხლები გადანომრას და შესაბამისი მითითებების კორექტირებას. აქვე შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტის დანართ № 6-ში წარმოდგენილი მე-6 მუხლის რედაქცია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ხელშეკრულების პროექტის მე-6 (მე-7) მუხლთან.

4. აქვე შევნიშნავთ, რომ მემორანდუმის პროექტი შეიცავს ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს, კერძოდ: ა) ნაცვლად „დადასტურებული საინვესტიციო დანახარჯისა“, მემორანდუმის პროექტის ფარგლებში ტერმინის სახით გამოიყენება „დადასტურებული საინვესტიციო ხარჯი“; ბ) 11.3 მუხლში დანართებს შორის კუმულატიური კავშირი მიზანშეწონილია, შეიცვალოს ალტერნატიულად, მხოლოდ რომელიმე დანართის ხელმოწერით, და, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ მუხლში „და/ან“ კავშირი შეიცვალოს „ან“ კავშირით; გ) მემორანდუმის პროექტის დანართ № 4-სა და № 5-ში მეორე აზრადიდან ამოღებულ უნდა იქნეს სიტყვა

9/27/2016

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

„კომპანია“; დ) დანართი № 7-ის ფარგლებში გაკეთებული მითითებები სხვადასხვა დანართზე საჭიროებს კორექტირებას.

პატივისცემით,

გ. დხიჭიფანიძე

მინისტრის მოადგილე


გოჩა ლორთქიფანიძე

საქრუსენერგო

სს საქართველოს ენერჯეტიკის სისტემა

SAKRUSENERGO

JSC UNITED ENERGY SYSTEM



N 05/823
26/09/2016

823-05-2-201609261740



საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს

განვიხილეთ თქვენი 2016 წლის 26 სექტემბრის N 04/3884წერილი საქართველოს მთავრობას, სს „სუფსა ენერჯის“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, სს „გეს საქრუსენერგოს“, შპს „ენერგოტრანსსა“ და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ შორის დასადეგი მემორანდუმის პროექტი, რომელთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში შენიშვნები არ გაგვაჩნია.

პატივისცემით,

რომეო მიქაუტაძე

გენერალური დირექტორი